



ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო განკარგულება №15/43

2017 წლის 29 ივნისი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების - 100 (ასი) ერთეული ნარჩენების კონტეინერის შპს „ინფრასტრუქტურა 2008-სათვის“ თხოვების ფორმით, აუქციონის გარეშე უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემის შესახებ

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ 100 (ასი) ერთეული ნარჩენების კონტეინერი (ერთეულის მოცულობა - 1100 ლტ) წარმოადგენს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებას, რომელიც ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადმოსცა სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა 2017 წლის 10 მარტის №56 ხელშეკრულების საფუძველზე (მიღება-ჩაბარების აქტი 30.05.2017წ).

შპს „ინფრასტრუქტურა 2008-ის“ დირექტორმა 2017 წლის 14 ივნისის №104 წერილით მიმართა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს და ითხოვა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზემოთხსენებული მოძრავი ქონების - 100 (ასი) ერთეული ნარჩენების კონტეინერის თხოვების ფორმით შპს „ინფრასტრუქტურა 2008-სათვის“ სარგებლობაში გადაცემა.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წინადადებით შემოვიდა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების - 100 (ასი) ერთეული ნარჩენების კონტეინერის შპს „ინფრასტრუქტურა 2008-სათვის“ თხოვების ფორმით, აუქციონის გარეშე უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მისაღებად.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 122-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია მუნიციპალიტეტის ქონება უსასყიდლო აღნაგობის, უსასყიდლო უზუფრუქტისა და თხოვების ფორმებით, აუქციონის გარეშე გადასცეს სახელმწიფოს და ავტონომიური რესპუბლიკების ორგანოებს, სხვა მუნიციპალიტეტს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს (გარდა პოლიტიკური პარტიისა), მუნიციპალიტეტის/მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, საწარმოს, რომლის წილის ან აქციათა 50%-ზე მეტს ფლობს/ფლობენ მუნიციპალიტეტი/მუნიციპალიტეტები, ან თავად ამ კერძო სამართლის იურიდიული პირის მიერ დაფუძნებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირს.

ამასთანავე, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად გარდა თბილისის მუნიციპალიტეტისა, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, მუნიციპალიტეტის ქონებას უსასყიდლო აღნაგობის, უსასყიდლო უზუფრუქტისა და თხოვების ფორმით, აუქციონის გარეშე, გადასცემს სახელმწიფო და ავტონომიური რესპუბლიკების ორგანოებს, სხვა მუნიციპალიტეტებს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს (გარდა

პოლიტიკური პარტიებისა), მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებსა და მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ საწარმოებს.

ამდენად, მიზანშეწონილია ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების - 100 (ასი) ერთეული ნარჩენების კონტეინერის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 100-პროცენტიანი წილობრივი მონაწილეობით მოქმედი შპს „ინფრასტრუქტურა 2008-სათვის“ თხოვნების ფორმით, აუქციონის გარეშე უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემა.

აღნიშნულიდან გამომდინარე:

მუხლი 1.

მიეცეს თანხმობა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონება - 100 (ასი) ერთეული ნარჩენების კონტეინერი (ერთეულის მოცულობა - 1100 ლტ) თხოვნების ფორმით, აუქციონის გარეშე უსასყიდლო სარგებლობაში გადასცეს შპს „ინფრასტრუქტურა 2008-ს“ (ს/კ 215148695).

მუხლი 2.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის შესაბამისად, განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №3).

მუხლი 3.

განკარგულება ძალაშია 2017 წლის 29 ივნისიდან.

საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი,
თავმჯდომარის მოადგილე

აკაკი დარჯანია